ძალაში შესვლის თარიღი: 15 ივლისი, 2026

Cookie პოლიტიკა

შესავალი

წინამდებარე Cookie-პოლიტიკა განმარტავს, თუ როგორ იყენებს **შპს „ბალბი ჯფუფი“** (შემდგომში - „**BulBee**“, „**ჩვენ**“, “**კომპანია**”) Cookie-ებსა და მსგავს ტექნოლოგიებს ვებგვერდზე **bulbee.ge**.

Cookie-ების გამოყენება მიზნად ისახავს ვებგვერდის უსაფრთხო, გამართულ და ეფექტიან ფუნქციონირებას, ასევე მომხმარებლისთვის მომსახურების შეუფერხებლად მიწოდებას.

წინამდებარე პოლიტიკა ვრცელდება მხოლოდ Cookie-ებსა და მსგავს ტექნოლოგიებზე. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ვაგროვებთ, ვიყენებთ, ვინახავთ და ვიცავთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს, მოცემულია ჩვენს **კონფიდენციალურობის პოლიტიკაში**, ხოლო ვებგვერდის გამოყენების წესები განსაზღვრულია **წესებსა და პირობებში**.

რა არის Cookie?

Cookie არის მცირე ზომის ტექსტური ფაილი, რომელიც ვებსაიტის გამოყენებისას ინახება თქვენს მოწყობილობაზე და გამოიყენება ვებსაიტის ფუნქციონირების, უსაფრთხოების, მომხმარებლის იდენტიფიკაციისა და მომსახურების გამართული მიწოდების უზრუნველსაყოფად

რა ტიპის Cookie-ებს იყენებს BulBee?

BulBee იყენებს მხოლოდ იმ Cookie-ებს, რომლებიც აუცილებელია ვებგვერდის უსაფრთხო ფუნქციონირებისა და მომსახურების მიწოდებისთვის.

აუცილებელი Cookie-ები

აუცილებელი Cookie-ები აუცილებელია ვებგვერდის ძირითადი ფუნქციების მუშაობისა და მომსახურების მიწოდებისთვის. მათი გამოყენება უზრუნველყოფს:

- მომხმარებლის იდენტიფიკაცია ავტორიზაციის შემდეგ;
- მომხმარებლის სესიის მართვა;
- პლატმორფის ანგარიშზე უსაფრთხო წვდომის უზრუნველყოფა;
- ვებგვერდის ძირითადი ფუნქციების გამართული მუშაობა;
- არაავტორიზებული ან არასანქცირებული მოქმედებების პრევენცია.

ამ Cookie-ების გარეშე ვებგვერდის გარკვეული ფუნქციები ვერ იმუშავებს ან მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი არ იქნება.

BulBee არ იყენებს აუცილებელ Cookie-ებს მომხმარებლის ქცევის ანალიზის, რეკლამის მიზნობრივი ჩვენების ან სხვა კომერციული მიზნებისთვის.

ანალიტიკური და მარკეტინგული Cookie-ები

ამ პოლიტიკის ძალაში შესვლის თარიღისთვის BulBee არ იყენებს:

- ანალიტიკურ Cookie-ებს;
- მარკეტინგულ ან სარეკლამო Cookie-ებს;
- მომხმარებლის სხვადასხვა ვებსაიტზე აქტივობის თვალთვალისთვის განკუთვნილ Cookie-ებს.

თუ მომავალში **BulBee** დაიწყებს ისეთი Cookie-ების გამოყენებას, რომლებიც არ წარმოადგენს აუცილებელ Cookie-ებს, შესაბამისი ინფორმაცია აისახება განახლებულ Cookie-პოლიტიკაში და, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათი გამოყენება მოხდება მხოლოდ მომხმარებლის შესაბამისი თანხმობის მიღების შემდე

მესამე მხარის სერვისები

BulBee გარკვეული ფუნქციების უზრუნველსაყოფად შესაძლოა იყენებდეს მესამე მხარის მომსახურებებს.

Google ანგარიშით ავტორიზაცია

თუ ირჩევთ სისტემაში Google ანგარიშის გამოყენებით შესვლას, ავტორიზაციის პროცესი ხორციელდება Google-ის მიერ. ამ პროცესში Google-ს შეუძლია გამოიყენოს საკუთარი Cookie-ები ან სხვა მსგავსი ტექნოლოგიები, რომლებიც ექვემდებარება Google-ის კონფიდენციალურობისა და Cookie-პოლიტიკას.

BulBee არ აკონტროლებს Google-ის მიერ გამოყენებულ Cookie-ებს და არ არის პასუხისმგებელი მათ დამუშავებაზე.

გადახდის მომსახურება

გადახდის პროცესში შესაბამისმა მომსახურების მიმწოდებელმა შესაძლოა გამოიყენოს საკუთარი Cookie-ები ან მსგავსი ტექნოლოგიები, რომლებიც რეგულირდება მისი კონფიდენციალურობისა და Cookie-პოლიტიკით.

Cookie-ების შენახვის ვადა

BulBee იყენებს როგორც სესიურ, ისე დროებით Cookie-ებს, მათი დანიშნულების შესაბამისად. Cookie-ები ინახება მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მათი გამოყენების მიზნის მისაღწევად, რის შემდეგაც ავტომატურად იშლება ან წაიშლება პლატფორმის მიერ.

Cookie-ების მართვა

თქვენ შეგიძლიათ ნებისმიერ დროს მართოთ ან წაშალოთ Cookie-ები თქვენი ინტერნეტ-ბრაუზერის პარამეტრების მეშვეობით.

ასევე შეგიძლიათ:

- წაშალოთ უკვე შენახული Cookie-ები;
- შეზღუდოთ ან დაბლოკოთ Cookie-ების გამოყენება;
- დააყენოთ ბრაუზერი ისე, რომ Cookie-ების შექმნისას მიიღოთ შესაბამისი შეტყობინება.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ აუცილებელი Cookie-ების წაშლამ ან მათი გამოყენების შეზღუდვამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ვებგვერდის ფუნქციონირებაზე. ასეთ შემთხვევაში, გარკვეული სერვისები ან ფუნქციები შესაძლოა სრულად ან ნაწილობრივ აღარ იყოს ხელმისაწვდომი.

Cookie-ების მართვის შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ იმ ბრაუზერის ოფიციალურ დახმარების გვერდზე, რომელსაც იყენებთ.

თქვენი უფლებები

თუ Cookie-ების გამოყენება დაკავშირებულია თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან, თქვენ სარგებლობთ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით.

თქვენი უფლებებისა და მათი განხორციელების წესის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია **კონფიდენციალურობის პოლიტიკაში**.

ცვლილებები Cookie-პოლიტიკაში

BulBee იტოვებს უფლებას, ნებისმიერ დროს განაახლოს ან შეცვალოს წინამდებარე Cookie-პოლიტიკა, მოქმედი კანონმდებლობის, ვებგვერდის ფუნქციონირების ან ჩვენი მომსახურების ცვლილებების შესაბამისად.

განახლებული ვერსია გამოქვეყნდება ვებგვერდზე **bulbee.ge** და ძალაში შევა მისი გამოქვეყნების მომენტიდან, თუ თავად პოლიტიკით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

გირჩევთ, პერიოდულად გაეცნოთ Cookie-პოლიტიკას, რათა იყოთ ინფორმირებული მისი შესაძლო განახლებების შესახებ.

საკონტაქტო ინფორმაცია

თუ გაქვთ შეკითხვები წინამდებარე Cookie-პოლიტიკის ან Cookie-ების გამოყენების შესახებ, შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ:

ელფოსტა: info@bulbee.com

ვებგვერდი: https://bulbee.ge